

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული

პროფესიული საბჭოს სხდომის ოქმი

(19 ნოემბერი, 2010 წელი; განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო)

სხდომის დღის წესრიგი:

1. **სხდომის გახსნა** - აკაკი სეფერთელაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე (სხდომის თავმჯდომარე);
2. **პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხის (კლასიფიკატორი) პრეზენტაცია, საბჭოს წევრთა მოსაზრებებისა და წინადადებების განხილვა** - დავით კერესელიძე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
3. **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტის პრეზენტაცია, საბჭოს წევრთა მოსაზრებებისა და წინადადებების განხილვა** - ნინო ელბაქიძე, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი;
4. **სხდომის დახურვა** - სხდომის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ალექსანდრე კაჭარავა** - საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველთა ჯგუფის (სამსახურის) წარმომადგენელი;
2. **ეკატერინე გაბუნია** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
3. **ჯამბულ ბაკურაძე** - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
4. **ირინე ქურდაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
5. **აკაკი სეფერთელაძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე;
6. **ნათია მიქელაძე** - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
7. **შორენა ჯაფარიძე** - ექსპერტი;
8. **დავით მჭედლიშვილი** - ქობულეთის პროფესიული კოლეჯის დირექტორი;
9. **ირაკლი პეტრიაშვილი** - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;
10. **დენის დავითაშვილი** - საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;
11. **ელგუჯა მელაძე** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
12. **მიხეილ კორძაბია** - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
13. **პეტრე წურწუშია** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
14. **ზაზა ცირამუა** - ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯის დირექტორი;
15. **ლალი ებანიძე** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;

16. **დავით კერესელიძე** - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უფროსი;
17. **ნინო ყოჩიშვილი** - ევროკავშირის წარმომადგენლობის პროექტების მენეჯერი;
18. **თეა კვინტრაძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
19. **ნინო ელბაქიძე** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების კოორდინატორი;
20. **ნიკა ჩაჩხიანი** - USAID-ის პროექტის ხელმძღვანლის მოადგილე;
21. **საბა სარიშვილი** - USAID-ის დასაქმების სამსახურის უფროსი;
22. **თამარ სამხარაძე** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საბჭოს სამდივნოს წევრი;
23. **ნინო კობალეიშვილი** - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის კოორდინატორი;
24. **მაკა კუდელაია** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
25. **ანა მჭედლიშვილი** - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ბ-ნი აკაკი სეფერთელაძე, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი და სთხოვა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა დააყენა წინადადება დღის წესრიგში საბჭოს თემატური ჯგუფების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ და ასევე, გამოთქვა პრეტენზია, რომ მის წარმომადგენლებს არ აქვთ საშუალება ჩაერთონ თემატური ჯგუფების მუშაობაში.

აღნიშნულთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ბ-ნმა დავით კერესელიძემ. მისი აზრით საჭირო არ არის თემატური ჯგუფების შემადგენლობების დამტკიცება, არ უნდა შევზღუდოთ დაინტერესებულ პირთა მონაწილეობა. საბჭომ ჩამოაყალიბა თემატური ჯგუფები, განსაზღვრა მათი ფუნქციები, გაიმართა არაერთი შეხვედრა და ამ შეხვედრების ოქმები წარმოდგენილია სამდივნოში. ამდენად, არ დგას საჭიროება, რომ მოვახდინოთ ზედმეტი ფორმალიზება და საბჭოს სხდომაზე დავამტკიცოთ თითოეული თემატური ჯგუფის შემადგენლობა.

ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ ისაუბრა სოციალური პარტნიორობის თემატური ჯგუფის მუშაობაზე, რომელსაც კოორდინაციას უწევს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. აღნიშნა, რომ ჯგუფის მუშაობაში ჩართული უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი პარტნიორი ორგანიზაცია და ამ ჩართულობის რაიმე ფორმით შეზღუდვა არ იქნება მიზანშეწონილი.

საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ბ-ნი დენის დავითაშვილის წინადადებას თემატური ჯგუფების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ.

ქ-ნმა ლალი ებანოიძემ თემატური ჯგუფების ფორმირებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თუ ეროვნული პროფესიული საბჭო ამ ინიციატივას მხარს დაუჭერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია კიდევ ერთი, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის თემატური ჯგუფის ჩამოყალიბება. ვინაიდან აღნიშნული მიმართულებით მუშაობის გამოცდილება გააჩნიათ USAID-ის პროფესიული განათლების პროექტის წარმომადგენლებს, შესაძლოა მათ ვთხოვოთ კოორდინაცია გაუწიონ თემატური ჯგუფის მუშაობას.

საბჭოს წევრებმა აღნიშნულ წინადადებას მხარი დაუჭირეს.

ბ-ნმა დავით კერესელიძემ საბჭოს წევრებს წარუდგინა პროფესიულ კვალიფიკაციათა ნუსხა - კლასიფიკატორი. აღნიშნულ დოკუმენტში სისტემატიზებულია საქართველოში არსებული საგანმანათლებლო მიმართულებები, დარგები/სპეციალობები, ქვედარგები/სპეციალიზაციები და პროფესიები.

ქ-ნმა ნათია მიქელაძემ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოთქვა შენიშვნა - ვინაიდან პირველი იანვრიდან ქართულ კანონმდებლობაში აღარ იარსებებს ტერმინი „საბაჟო სამართალი“, მიზანშეწონილია, რომ ქვედარგი კოდით 060506 შეიცვალოს ახალი ხედვის შესაბამისად, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს სხვა წევრებიც.

ბ-ნმა საბა სარიშვილმა დასვა კითხვა, თუ როგორ მოხდება კლასიფიკატორის დამტკიცების შემდეგ მასში ცვლილებების შეტანა და რამდენად მოქნილი იქნება ამ მხრივ დოკუმენტი, რაზეც ბ-ნმა დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ დოკუმენტში ცვლილებების შეტანა განხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია, თუ რამდენად თანხვედრია წარმოდგენილი დოკუმენტი ჯანდაცვის სამინისტროს ხედვასთან, რაზეც ბ-ნმა დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ ჯანდაცვის სამინისტროში დოკუმენტის განხილვის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია და ამდენად, წარმოდგენილი პროექტი სრულ თანხვედრაშია ჯანდაცვის სამინისტროს პოზიციებთან.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს კლასიფიკატორის პროექტი და რაკი დოკუმენტს წინასწარ იცნობდნენ და პრინციპული ხასიათის შენიშვნები არ აქვთ, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი დამტკიცება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების კოორდინატორმა, ქ-ნმა ნინო ელბაქიძემ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლის სტანდარტი და აღნიშნა, რომ ეს არის პროექტის პირველი განხილვა, უახლოეს დღეებში დაიწყება მისი საჯარო განხილვები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. დოკუმენტი უკვე განთავსებულია სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვებ-გვერდზე: www.tpdg.ge

ქ-ნი შორენა ჯაფარიძის აზრით, დადებითი ფაქტია ის, რომ კანონი აღარ ყოფს ერთმანეთისგან (ტერმინოლოგიურად) პრაქტიკული მეცადინეობებისა და თეორიული საგნების მასწავლებლებს (მასწავლებელი, ინსტრუქტორი). ახალი მიდგომა შესაბამისობაშია საერთაშორისო ნორმებთანაც. ამავე დროს, სტანდარტი ისე უნდა ავაგოთ, რომ არ

ბ-ნმა დენის დავითაშვილმა განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს თუ ვინ ექვემდებარება ამ სტანდარტს - თეორიული თუ პრაქტიკული ნაწილის მასწავლებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩიხში შევალთ. მაგალითისთვის, პრაქტიკული მეცადინეობის მასწავლებლები არ ფლობენ პედაგოგიკისა და ანდრაგოგიკის ძირითად პრინციპებს, თუმცა კარგად ფლობენ იმ ხელობას, რომელსაც სტუდენტებს პრაქტიკულად გადასცემენ.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ სტანდარტის მიხედვით მოამზადებს შესაბამის სატრენინგო პროგრამას. ამჟამად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. მიზანი ის არის, რომ ეტაპობრივად მოხდეს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული გადამზადება, რათა ისინი სრულად აკმაყოფილებდნენ სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სხდომა შეაჯამა ბ-ნმა აკაკი სეფერთელაძემ:

1. ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ რეკომენდაცია მიეცეს კვალიფიკაციათა ნუსხის დამტკიცებას;
2. დაიწყოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის სტანდარტის საჯარო განხილვა. განხილვის პროცესში მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა მონაწილეობა;
3. დეველოს ეროვნული პროფესიული საბჭოს სამდივნოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის კორექტირებული ვერსიის დაგზავნა საბჭოს წევრებისათვის.

სხდომის თავმჯდომარე:

აკაკი სეფერთელაძე

სხდომის მდივანი:

თამარ სამხარაძე